საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №36

ქ.თბილისი

25.06.2019

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**ქეთევან ქოქრაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**გიორგი ამილახვარი** - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ლიპარტია** - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

**ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

**სერგო ჭელიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

**ნიკოლოზ ჯავახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

**გაიანე სიმონია** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

**ანა ფირცხალაშვილი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

**მაკა ლაშხია** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**დენიტა ბიბილეიშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

**სალომე თოთიბაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

**თეა მჭედლური** - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

**თეა ნადირაძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
**ქრისტინე აბულაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ქრისტინე გაბისონია** - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს კავკასიის უნივერსიტეტი:**
**კახა შენგელია** - უნივერსიტეტის პრეზიდენტი
**ნუგზარ სხირტლაძე** - უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი
**ეკა აკობია** - დეკანი
**ელენე ჯღარკავა** - დეკანი
**პავლე კაპანაძე** - ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის დეპარტამენტის დირექტორი
**ნინო ანდრიაძე** - ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური მენეჯერი
**გიორგი ნატროშვილი** - პროფესორი
**თეიმურაზ ფარცხალაძე** - პროფესორი

**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:**
**მარინა გედევანიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
**სერგო ჭელიძე** - სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
**კახაბერ კორძაია** - რექტორი
**ვახტანგ წივწივაძე** - კანცლერი
**ვლადიმერ მაჭარაშვილი** - სამართლის ფაკულტეტის დეკანი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:**
შოთა დოღონაძე
ივანნა მაჩიტიძე
ლია ტვილდიანი
გოჩა თუთბერიძე
მანანა ლობჟანიძე
დავით ბურჯანაძე
გიორგი დგებუაძე
ნინო კილასონია
ანა თოხაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:09 საათზე. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დღის წესრიგთან დაკავშირებით არსებობდა თუ არა რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებული შუამდგომლობა წარმოდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

**1.** შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში<br>0705 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა ესაუბრათ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა სხდომაზე განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 30 მაისს, მანამდე ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს პროგრამა და წარმოდგენილი მასალა. ექსპერტის თქმით კავკასიის უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებდა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს და მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას ახალგაზრდებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ რამდენიმე შენიშვნა (ზოგიერთი შენიშვნა არ იყო ისეთი ღირებული, რომ დასკვნაში ასახულიყო) და ორი რეკომენდაცია.

1. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის დამატება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი უნარების გაძლიერებას;
2. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება V-VIII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსებში და შეძლებისდაგვარად პრაქტიკის უზრუნველყოფა იმ

ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლიტერატურასთან მიმართებით რამდენიმე რჩევა გააჟღერა. მისი აზრით, ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურა ჭარბი რაოდენობით იყო მითითებული, ზოგ სილაბუსში კი პირიქით შეზღუდულად. სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტს გამოეყენებინა ბიბლიოთეკის საკმაოდ სოლიდური შესაძლებლობა, მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკის. შემდეგი რჩევა ეხებოდა სილაბუსებში ინგლისური ენის ცოდნის წინაპირობად მითითებას, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის დროს ეს მოთხოვნა მოქმედებდა, სილაბუსებში ხშირად იყო მითითებული უცხოენოვანი, კერძოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც საჭიროებდა დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნის დონის მითითებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის განახლებაზე ფუნდამენტურად იმუშავა, პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა დეტალურად გაიარა თვითშეფასებაში მოცემული ყველა სილაბუსი, განაახლეს ლიტერატურა. მან დააზუსტა, რომ ერთ-ერთ სილაბუსში მითითებული 2009 წლის ლიტერატურა აფრიკის დეკოლონიზაციის შესახებ ვერ ჩაითვლებოდა მოძველებული ლიტერატურის მითითებად, რადგან ეს იყო კლასიკური ნაშრომი აფრიკის დეკოლონიზაციის შესახებ. შესაბამისად, დასძინა, რომ სილაბუსები და ლიტერატურა მეტწილად თანხვედრაში იყო თანამედროვე მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სრულებით მისაღები იყო მათთვის.

პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ გათვალისწინებული ჰქონდათ პრაქტიკები სავალდებულო კურსების ფარგლებში, მაგალითად ,,მოლაპარაკების ხელოვნების" საგანი მოიცავდა გარკვეულ სიმულაციებს, ,,ენერგეტიკული უსაფრთხოების" საგანი გასვლებს ენერგო სადგურებზე და ექსპერტებთან შეხვედრებს, ყოველივე აღნიშნული ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციითაც დასტურდებოდა, ასევე, ადგილობრივი თვითმართველობისა და შიდა საკითხებზე ხორციელდებოდა გასვლები შესაბამის უწყებებში.

პრაქტიკული კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს პარლამენტთან, სადაც სტუდენტები პრაქტიკებს გადიოდნენ მათივე სურვილის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული სპეციალობა დასაქმების სპეციფიკის გათვალისწინებით მოითხოვდა მაგისტრის ხარისხს, შესაბამისად სტუდენტთა დიდი ნაწილი მომავალში დასაქმების მიზნით, აგრძელებდა სწავლას მომდევნო საფეხურზეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ მიმდინარე წელს პირველად დანერგეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამა აკადემიური წერის საგნის ფარგლებში, მომავალში გეგმავდნენ პლაგიატის პროგრამის უფრო ფართოდ გამოყენებას და ამ კუთხით პროგრამების ხელმძღვანელებისათვის ტრენინგ-კურსების ჩატარებას, რადგან აღნიშნული პროგრამის გამოყენებას ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი უნარები.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამისა და სილაბუსების მიხედვით პროგრამა კარგად იყო შედგენილი, თუმცა დაეთანხმა ექსპერტებს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით, არსებული ლიტერატურით სწავლების შემთხვევაში მოხდებოდა კონცეპტუალური აცდენა ცოდნა-გაცნობიერებასა და ლიტერატურას შორის. მაგალითის სახით მან წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფო მართვის სილაბუსი, რომელშიც მითითებული იყო რომ აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტებისათვის უნდა ესწავლებინათ თანამედროვე მართვა, თუმცა მითითებულ ლიტერატურაში საუბარი იყო მხოლოდ 2004-2014 წლამდე მიმდინარე რეფორმების შესახებ, შესაბამისად არ იყო მოხსენიებული 2015 წელს საქართველოს საჯარო სამსახურში განხორციელებული დიდი რეფორმა.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სილაბუსში მითითებული იყო 2005 წლის წიგნი, იმის გათვალისწინებით რომ 2018 წელს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, აღნიშნული წიგნი სწავლების თვალსაზრისით მოქმედი ვეღარ იქნებოდა. მან ასევე დაამატა, რომ ზოგადად სილაბუსებში ძირითადად მითითებული იყო მოძველებული ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრის შენიშვნას მოძველებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ყველა სილაბუსი იყო განახლებული, ყურადღება კი გაამახვილა საბჭოს წევრის მიერ გამოყოფილ ორ სილაბუსზე, სახელმწიფო რეფორმებსა და ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე. მისი განმარტებით, საჯარო მმართველობის რეფორმების საგანს ასწავლიდა ნინო ჭარხალაძე, რომელიც მუშაობდა პრემიერ-მინისტრის აპარატში და უშუალო შეხება ჰქონდა აღნიშნულ რეფორმებთან, ის აგრეთვე დასაქმებული იყო ერთ-ერთ კერძო კომპანიაში, რომელიც მთელ მსოფლიოს აძლევდა რეკომენდაციებს საქართველოში ჩატარებული საჯარო რეფორმების შესახებ, შესაბამისად, სილაბუსში მითითებული იყო სამი წიგნი რეცენზირებული გამოცემით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ საჯარო მმართველობაში ბოლო წლებში განხორციელებული თანამედროვე რეფორმები სილაბუსში მითითებული იყო ბმულების სახით და ის კვლავ განახლდებოდა უშუალოდ სწავლების წინ. განმარტების სახით მან დასძინა, რომ აღნიშნული სილაბუსი იყო საავტორო, კონკრეტულად ამ მიმართულებაში გამოცდილი ადამიანების მიერ შექმნილი და ეხებოდა კონკრეტულ პერიოდს, საგანი იყო არა სავალდებულო, არამედ არჩევითი. შესაბამისად, სტუდენტი მას აირჩევდა იმ შემთხვევაში თუ დაინტერესდებოდა კონკრეტული რეფორმებით, მაგალითად როგორ აღმოიფხვრა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში კორუფცია, როგორ დამარცხდა ნეპოტიზმი, გადაიდგა ნაბიჯები განათლების სისტემის, სოფლის მეურნეობის, საბაჟო სექტორის და პოლიციის მიმართულებით. თანამედროვე მიმდინარე რეფორმებს კი დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ეთმობოდა სავალდებულო საგნები, მაგალითად ,,საჯარო რეფორმები და პოლიტიკა", ,,ადამიანური რესურსების მართვა", ,,საჯარო მართვის ორგანიზაციები", ,,საკონსტიტუციო სასამართლო", ასევე ,,სამართლის საფუძვლები", რომელშიც ისწავლებოდა კონსტიტუცია და ყველა მიმდინარე თანამედროვე რეფორმა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ აღნიშნული საგნის სილაბუსი მოიცავდა საქართველოს საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესებსა და მათი ანალიზის სწავლებას, თუმცა მითითებული ლიტერატურა ვერ მიაწვდიდა სტუდენტს ამ ცოდნას, საჭირო იქნებოდა აღნიშნული ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოებით ჩანაცვლება, მათ შორის ერთ-ერთის თანაავტორი თავად გახლდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ განმარტა რომ საგანი იყო არჩევითი, ეხებოდა კონკრეტულ პერიოდს, ასწავლიდა ლექტორი, რომელსაც ჰქონდა უშუალო გამოცდილება ამ მიმართულებით, ხოლო ყველა სხვა თანამედროვე ტენდენცია ასახული იყო სავალდებულო საგნებში, აგრეთვე იგეგმებოდა სილაბუსების განახლება სწავლების დაწყების წინ. მან დაამატა, რომ ერთ-ერთი ექსპერტი, ნინო დავითაშვილი მათ მიაწვდიდა რეცენზირებულ ლიტერატურას უშუალოდ დაგეგმილ საჯარო მართვის რეფორმებთან დაკავშირებით და აუცილებლად მოხდებოდა აღნიშნული ლიტერატურის გათვალისწინებაც.

16:26 საათზე სხდომას შემოუერთდა ნინო ლიპარტია.

ადამიანის უფლებების სილაბუსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებული 2011 წლის წიგნი, რომელიც საბჭოს წევრმა ახსენა, ეხებოდა ადამიანის უფლებების საკითხის განმარტებას კონსტიტუციიდან, შესაბამისად, არ იყო აუცილებელი 2018 წლის გამოშვების მითითება, რადგან 2018 წელს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები ეხებოდა სახელმწიფო მართვის ფორმას და არა ადამიანის უფლებების საკითხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული ლიტერატურა იყო აბსოლუტურად რელევანტური. ასევე, მან დაამატა, რომ საგნის ლექტორს სილაბუსში მითითებული ჰქონდა ამ მიმართულებით გამოყენებული მრავალი ქეისი.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა მოეწონა. დადებითად შეაფასა პროგრამაში აკადემიური წერის არსებობა, თუმცა მისი მოსაზრებით, უკეთესი იქნებოდა თუ პროგრამას დაემატებოდა საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსი. მან ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს რამდენად აუცილებელი იყო სავალდებულო კურსად კვლევის მეთოდების სწავლება ბაკალავრიატის მესამე სემესტრში და დასძინა რომ საწყისს კურსებზე კვლევის მეთოდების ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა შესავალი დისციპლინების სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, აკადემიური წერის სწავლება მესამე კურსიდან გადმოიტანეს პირველ კურსზე, თუმცა კვლევის მეთოდები დატოვეს მესამე ეტაპზე, გამომდინარე იქედან, რომ სტუდენტებს მესამე და მეოთხე კურსზე უკვე მოუწევდათ კვლევითი ნაშრომების წერა საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრება და აღნიშნა, რომ პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე ექსპერტებმა დაინახეს კვლევის მეთოდების საჭიროება, აღნიშნულის სწავლების გარეშე სტუდენტი ვერ შეძლებდა ნაშრომის შესრულებას. აგრეთვე, მიმდინარე პერიოდში მან კოლექტიურ ჯგუფთან ერთად შექმნა კვლევის მეთოდების საფუძვლების სახელმძღვანელო საჯარო მმართველობისა და სხვა მსგავსი სოციალური მეცნიერებებისთვის. ასევე, მან დასძინა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით  აქამდე ქართულენოვანი ლიტერატურა არ მოიპოვებოდა, მიმდინარე პერიოდში კი უკვე არსებობდა თარგმნილი მასალა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, კავკასიის უნივერსიტეტს წვდომა ჰქონდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ლიტერატურაზე და შეეძლოთ ეს ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი გაეხადათ. ხშირ შემთხვევაში, პროგრამის ბევრ ხელმძღვანელს მითითებული ჰქონდა ბმულები სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა შეიძინა და ბიბლიოთეკაში განათავსა 100 000 ევროს ღირებულების წიგნები, არა მხოლოდ აღნიშნული, არამედ სხვა სფეროებისთვისაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა აკობიამ დაამატა, რომ პროგრამა შედგენილი იყო მოთხოვნების მაქსიმალურად შესაბამისად და ყველა მითითებული საგნის სილაბუსი, მაგალითად ამერიკის საგარეო პოლიტიკა, აფრიკის პოლიტიკა და კონფლიქტები, ნაციონალური და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, დეტალურად იყო გავლილი. დასამოწმებლად მან დაასახელა ერთ-ერთი საგანი აფრიკის კონფლიქტები და პოლიტიკა და მისი მთავარი წიგნი, რომელიც ეხებოდა აფრიკის დეკოლონიზაციას და მითითებული ჰქონდა 2018 წლის ბმულები.

საბჭოს თავმჯდომარემ მას განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი პოლემიკის საგანს არ წარმოადგენდა, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს სრული უფლება ჰქონდა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება სხდომის მიმდინარეობის დროს და ეს პროგრამის ხარისხს არ დააკნინებდა.

შესვენება გამოცხადდა 16:44 საათზე

სხდომა განახლდა: 16:47 საათზე

საბჭოს მიერ სხდომის მიმდინარეობის დროს გაიცა რეკომენდაცია ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით შემდეგ სილაბუსებში: „საქართველოს სახელმწიფო მართვა“ „საჯარო სექტორის რეფორმა“ და „ადამიანის უფლებები და დემოკრატია“.

საბჭომ იმსჯელა და ზეპირ სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, ჩათვალა, რომ ექსპერტთა მიერ დასკვნაში სრულად შესაბამისად შეფასებული მე-2 სტანდარტი დაეწია მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის დამატება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი უნარების გაძლიერებას;
2. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება V-VIII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსებში და შემლებისდაგვარად პრაქტიკის უზრუნველყოფა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;

3. ლიტერატურის განახლება შემდეგ სილაბუსებში: „საქართველოს სახელმწიფო მართვა“ „საჯარო სექტორის რეფორმა“ და „ადამიანის უფლებები და დემოკრატია“.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე - 3 და მე - 3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის
**საგანმანათლებლო პროგრამა** - ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობები“
**საფეხური** - ბაკალავრი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში (0705)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

**2.** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების მომიჯნავე პროგრამები ერთად განეხილათ შესვენების გარეშე. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დასკვნებს იცნობდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გოჩა თუთბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამას გაეცნო, სტანდარტულ დოკუმენტაციას, ჰქონდათ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან: ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან. მისი თქმით, ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულ გარემოში, სასარგებლო დისკუსიების თანხლებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაწესებულება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა ამ პროგრამას და ამ კუთხით კარგი გამოცდილება ჰქონდა, მაღალი იყო დასაქმების მაჩვენებელი სტუდენტებში და დამსაქმებლებთან შეხვედრებიც პოზიტიურად მიმდინარეობდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

1. შემცირდეს სავალდებულო მოდულების კრედიტების რაოდენობა (55 კრედიტი) და მოდულებში არსებული სასწავლო კურსების ხარჯზე გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდული. მაგ: კორპორაციის ფინანსები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები, მომხმარებლის ქცევა, გაყიდვების მართვა, სტრატეგიული მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდულში;
2. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ეს არის მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს სპეციალიზაციის თითოეული მოდულის ფარგლებში.

რაც შეეხება რჩევებს დაშვების წინა პირობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე სტუდენტები ძირითადად მათემატიკის ჩაბარებით ირიცხებოდნენ, თუმცა სასურველი იქნებოდა მათ ამ პროგრამაზე მოსახვედრად მეოთხე საგნად მათემატიკა ჩაებარებინათ. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხი არ მიუთითა რეკომენდაციად, რადგან 75% და მეტი ამ პროგრამაზე მოსახვედრად მათემატიკას აბარებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს საინტერესო და ნაყოფიერი ვიზიტისათვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი უკვე გაითვალისწინეს.

მან ისაუბრა მოდულებთან მიმართებით კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამის უნიკალურობა კურსდამთავრებულისათვის კონკრეტული მიმართულებით საკმაოდ სიღრმისეული ცოდნის გადაცემით გამოიხატებოდა, მაგალითად თუ უშვებდნენ სტუდენტს მარკეტინგის მოდულით, მან ზუსტად იცოდა სადაც უნდა დასაქმებულიყო, ამგვარი მიდგომა დამსაქმებლისთვისაც მისაღები იქნებოდა, რადგან მასთან მივიდოდა კონკრეტული სფეროს მზა პროდუქტი, დამატებითი ტრენინგების საჭიროების გარეშე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რეკომენდაციის მიღების შემდეგ, მათ გაიარეს გარკვეული მოდულები, რომლებიც არ იყო სავალდებულო ყველასთვის და შეარჩიეს საგნები, რომლებიც ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით სავალდებულო საგნები გახდებოდა.

პრაქტიკულ კომპონენტზე საუბრისას, დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა დამსაქმებლებთან კარგ ურთიერთობაზე, რაზეც მიუთითებდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა. მისი თქმით, განიხილებოდა სავალდებულო პრაქტიკაც, თუმცა დასაქმების თემატიკაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მეოთხე კურსის სტუდენტთა 85% მუშაობდა ანაზღაურებად სამსახურში, შესაბამისად, სტუდენტთა ამ ნაწილისათვის ტექნიკურად საკმაოდ რთული იქნებოდა სამსახურის პარალელურად სავალდებულო პრაქტიკის გავლა და კრედიტების დაგროვება.

მესამე საკითხთან მიმართებით, ვიზიტის მიმდინარეობის დროს, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა ფაკულტეტზე მათემატიკით მოხვედრილი სტუდენტების სტატისტიკა, დაახლოებით 65%-70%. სტუდენტთა იმ ნაწილისათვის, რომელიც პროგრამაზე ჩაირიცხა ისტორიით ან გეოგრაფიით, უნივერსიტეტმა შემოიტანა საგანი-პრეკალკულუსი, რომელიც სტუდენტებს მისცემდა საშუალებას გასულიყო პროგრამაზე მათემატიკით მოხვედრილ სტუდენტთა მსგავს შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის დეპარტამენტის დირექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა მოდულური ფორმა, რაც მას უნიკალურობას ანიჭებდა და ამაზე დამსაქმებლებისა და სტუდენტების გამოკითხვები და კმაყოფილებაც მოწმობდა. მან ექსპერტთა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით გამოყო ერთ-ერთი საგანი - პროექტების მართვა, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელებთან განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე გადაიტანეს ე.წ საბაზისო ნაწილში, ანუ სავალდებულო მოდულში, რომელსაც ყველა მიმართულების სტუდენტი გაივლიდა. მან დაამატა, რომ მოდულური ნაწილი 55 კრედიტით იყო წარმოდგენილი, აღნიშნული მოდულები გახლდათ: ფინანსები, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა-აუდიტი და მენეჯმენტი. პირველ რეკომენდაციაზე საუბრისას მან ასევე გამოყო, წარმოდგენილი მოდულების ერთ-ერთი საგანი - ბიზნეს გეგმის განვითარება, რომელიც ასევე სავალდებულო საგანი იყო. ამ საგნის სწავლებისას ხორციელდებოდა ბიზნესს იდეის გენერირება, შემდგომ მისი ვალიდაცია, ბიზნესს მოდელზე გასვლა. მისი თქმით ეს იყო პრაქტიკული, ასევე შემაჯამებელი კურსი და სტუდენტები დაგროვილი ცოდნის დემონსტრირებას ახდენდნენ

კომისიის წინაშე ჯგუფური პრეზენტაციის სახით. მან ასევე დასძინა, რომ რადგან საგანი იყო სავალდებულო, დასკვნაში აღნიშნული მოდულური ნაწილის 55 კრედიტი რეალურად 50 კრედიტი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამები, განსაკუთრებით კი ბიზნესის პროგრამები გამორჩეული იყო ფართო საგანმანათლებლო სივრცეში და მათი კურსდამთავრებულები გადიოდნენ რეალურ შედეგზე. მან დაწესებულების წარმომადგენლებს რჩევის სახით მიუთითა ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების სილაბუსში ლიტერატურის განახლებაზე, მათ შორის აღნიშნა ერთ-ერთი წიგნი საკუთარი ავტორობით, რომელიც 2010 წლით თარიღდებოდა და მოძველებული იყო.

მან, ასევე, რჩევის სახით დაამატა რომ, საგანთა გარკვეული ნაწილი, მათ შორის სამართლის საფუძვლები, შრომის სამართალი, ვალდებულებითი, სანივთო, საგადასახადო და ა.შ. არ უნდა ყოფილიყო თავმოყრილი მხოლოდ ერთ სილაბუსში, ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა შედეგზე გასვლა, შესაბამისად სასურველი იქნებოდა სილაბუსის გადამუშავება და რამდენიმე მიმართულების გამოყოფა საბანკო, საგადასახადო, ვალდებულებითი სამართლის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რჩევის მიღება.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ამზადებდა მაღალკვალიფიციურ კადრებს. ის დაინტერესდა ახერხებდნენ თუ არა კურსდამთავრებულები და სტუდენტები სამუშაო ადგილების მოძიებას და უწყობდა თუ არა უნივერსიტეტი ხელს მათ დასაქმებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმება გახლდათ ის ნაწილი, რომელიც მათი სიამაყის უპირველეს მიზეზს წარმოადგენდა. მან აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტი იყო პირველი, რომელსაც ჰქონდა დასაქმების სამსახური უცხოელების ხელმძღვანელობით და არსებობდა იმისათვის, რომ ეზრუნა სტუდენტების მხარდაჭერასა და კარიერულ განვითარებაზე. მისი განმარტებით, ეს დეპარტამენტი მიმდინარე პერიოდშიც ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში და მისი სრული სახელწოდება გახლდათ - სტუდენტების დასაქმება და სტუდენტური კარიერის განვითარება კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებში. მან აღნიშნა ორი დებულება, მათ შორის ერთ-ერთი მოიცავდა სივის შედგენას, გასაუბრებაზე მოქცევის წესს, დამსაქმებლებთან შეხვედრას და მას სწავლის პერიოდშივე უზიარებდნენ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა რომ დასაქმების სამსახურის არარსებობის შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის როლი სტუდენტთა დასაქმების მიმართულებით, როგორც სტუდენტობის პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდგომ, რადგან დაწესებულება მაქსიმალურად ინარჩუნებდა კომუნიკაციას ყველა სტუდენტთან, როგორც დასაქმების კუთხით ასევე კონსულტაციების კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ისინი ყოველწლიურად ატარებენ გამოკითხვას და სტუდენტთა ნაწილის დაუსაქმებლობის მიზეზად ან მათივე სურვილი ან საზღვარგარეთ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება დაასახელა.

მან ასევე აღნიშნა, რომ არ არსებობდა დიდი და საშუალო ბიზნესი, რომელშიც მათი კურსდამთავრებულები არ იყვნენ ჩართულნი.

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს გადასულიყვნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

1. სასწავლო კურსი „ეკონომიკა მენეჯერებისათვის“ უნდა შეიცვალოს მენეჯერული ეკონომიკის სასწავლო კურსით, რომელიც წარმოადგენს მიკროეკონომიკას მენეჯერებისათვის;
2. სასწავლო კურსი „ფინანსები მენეჯერებისათვის“ თავისი შინაარსით და ლიტერატურით არის შესავალი კურსი ფინანსურ მენეჯმენტში და ამ სახით არ პასუხობს მეორე საფეხურის მოთხოვნებს. აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა გადამუშავდეს, შეიცვალოს თემატიკა, ლიტერატურა და ის უნდა მოვიდეს მეორე საფეხური მოთხოვნებთან შესაბამისობაში;
3. სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯნეტი“ უნდა გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის ალტერნატივად ჩაითვალოს სამაგისტრო პროექტი;

ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით, ექსპერტთა თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა MBA პროგრამაზე არ ხდებოდა არცერთ ქვეყანაში, სწორედ ეს განაპირობებდა პროგრამის მაქსიმალურ მოქნილობას, შესაბამისად ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია სტუდენტებს გაეკეთებინათ სამაგისტრო პროექტი იმ მოდულებში, რომლებშიც ისინი სწავლობდნენ, ეს მათ გაუადვილებდათ დიპლომის აღებას.

ექსპერტმა საუბრის დასასრულს რჩევის სახით გააჟღერა მოსაზრება არჩევითი კურსების დამატებასთან დაკავშირებით, რადგან უნივერსიტეტს გააჩნდა ამის რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც თავად გახდა დეკანი ნამდვილად შეაწუხა ზემოაღნიშნულმა ფაქტმა. მისი აზრით, MBA პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გაცილებით ღირებული იქნებოდა ემუშავათ, თუნდაც, მათ სამსახურთან დაკავშირებულ საკითხზე, ბიზნეს მოდელის დამუშავებაზე და არა დისერტაციის დაცვაზე, ამიტომ დებულებაში მიუთითეს როგორც სამაგისტრო ნაშრომი პროექტის სახით, ამგვარად

სტუდენტი შეძლებდა ემუშავა იმ მიმართულებით, რომელიც ნამდვილად გაიყვანდა შედეგზე.

რაც შეეხება ეკონომიკის საგანს მენეჯერებისათვის, ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ მათ პროფესორ დავით ასლანიშვილს სთხოვეს სილაბუსის გადახედვა და მისივე რეკომენდაციების საფუძველზე მომდევნო სემესტრიდან პროგრამის დამტკიცების შემდეგ სილაბუსი შეიცვლებოდა და დაემატებოდა დავით ასლანიშვილის მიერ შემოთავაზებული წიგნიც.

მან ასევე, დასძინა, რომ გარკვეული ცვლილებების განხორციელება იგეგმებოდა საგანში ,,შესავალი ფინანსებში", კერძოდ დაშვების წინაპირობებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ბოლომდე არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მესამე რეკომენდაციას „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" სასწავლო კურსთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, კურსდამთავრებულების გამოკითხვიდან და დასაქმების სფეროდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვა ჩასმული იყო იმ სტუდენტებისთვის ვინც ირჩევდა მენეჯერის სპეციალობას, თუმცა სავალდებულო მოდულში ჰქონდათ სამი საგანი: ლიდერობა, სტრატეგიული მართვა და ორგანიზაციული ქცევა.

ექსპერტთა ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა მეტი არჩევითი საგნის შემოღებას, ამასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოდულებში საკმაოდ დიდი არჩევანი ჰქონდათ. მისი აზრით, პროგრამაში განხორციელებულ უნიკალურ ცვლილებას წარმოადგენდა სტუდენტისათვის ერთი კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზირების შესაძლებლობის მინიჭება.

ექსპერტთა მომდევნო რჩევა ეხებოდა ნაშრომის გასაჩივრების მექანიზმსა და შემდგომ პროცედურებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გაითვალისწინეს ეს რჩევა, დახვეწეს დებულება და დეტალურად ასახეს როგორი იქნება სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შედეგების გასაჩივრების შემდგომი პროცედურა, მათ შორის ნაშრომის განხილვისათვის კომისიის შექმნა.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ დააზუსტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად კონკრეტული სპეციალობა არ იყო განსაზღვრული. ის დაინტერესდა თუ რატომ არ იყო გათვალისწინებული სამართლის დიდი ნაწილი პროგრამაში, მათ შორის სამართლის ზოგადი საფუძვლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავდაპირველად იურდიული პროგრამა შეიქმნა ამერიკულ მოდელზე, ის მოიცავდა ბიზნესს რეგულირების საფუძვლებს და ცალკე იყო საგანი ბიზნესს ეთიკა, თუმცა ბოლო აკრედიტაციის დროს აღნიშნული საგანი ამოიღეს სავალდებულო საგნებიდან. ამის მიზეზი გახლდათ გამოკითხვის საფუძველზე მიღებული შედეგები, რომლის მიხედვით აღნიშნული საგანი სტუდენტებისთვის არ იყო იმდენად სასარგებლო და გამოსადეგი, რომ სავალდებულო საგანთა ნუსხაში ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის დათვალიერების შემდეგ დააკლდა აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსები, მისი მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა აღნიშნული კურსების შეთავაზება არა მხოლოდ ბაკალავრის, არამედ მაგისტრატურის სტუდენტებისთვისაც, რადგან მათთვის კვლევითი უნარების გამომუშავება პრიორიტეტს წარმოადგენდა. ასევე, საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მოეწონა ექსპერტების იდეა სამაგისტრო პროექტის გაკეთებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ჰქონდათ საგანი ,,სამაგისტრო ნაშრომის მომზადება", თუმცა სტუდენტებისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გაირკვა, რომ აღნიშნული საგნისა და აკადემიური წერის ფარგლებში ხდებოდა საკითხების გადაფარვა. შესაბამისად უნივერსიტეტის სამომავლო პოლიტიკა მიმართული იყო საგნებში საკითხების გადაფარვის არიდებაზე.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ის დატოვეს ,,მეცნიერების" სამაგისტრო პროგრამაში, თუმცა ამოიღეს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამიდან და მის ნაცვლად ჩასვეს ბიზნესის მოდელირების საგანი, რომელიც სტუდენტს ეხმარებოდა სამაგისტრო პროდუქტთან მუშაობისას.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ ვიზიტის დროს მათაც დასვეს შეკითხვა საგნების გადაფარვასთან დაკავშირებით და დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული ორი საგანი ნამდვილად ფარავდა ერთმანეთს.

შესვენება გამოცხადდა 17:25 საათზე

სხდომა განახლდა: 17:41 საათზე

საკითხი 2

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**რეკომენდაციები:**

1. შემცირდეს სავალდებულო მოდულების კრედიტების რაოდენობა (55 კრედიტი) და მოდულებში არსებული სასწავლო კურსების ხარჯზე გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდული. მაგ: კორპორაციის ფინანსები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები, მომხმარებლის ქცევა, გაყიდვების მართვა, სტრატეგიული მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდულში;

2. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ეს არის მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს სპეციალიზაციის თითოეული მოდულის ფარგლებში.

3. შესწორდეს და განახლდეს პროგრამის სილაბუსები.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე-12

მოწინააღმდეგე-0

**გადაწყვეტილება:**

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე - 3 და მე - $3^1$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:

**საგანმანათლებლო პროგრამა** - ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)

**საფეხური** - ბაკალავრი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

**საკითხი 3**

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე-12

მოწინააღმდეგე-0

**გადაწყვეტილება:**

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-$3^1$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:

**საგანმანათლებლო პროგრამა** - ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)

**საფეხური** - მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (02)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართალი |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სამართლის დოქტორი<br>06 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა აცილების შესახებ შუამდგომლობაზე. საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ განაცხადა თვითაცილების თაობაზე, რადგან იგი საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დასკვნას იცნობდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი დგებუაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ექსპერტთა მიერ შეფასდა საკმაოდ დეტალურად. მათი შეფასების მიზანი იყო არა მხოლოდ წარმოდგენილი ფორმალური დოკუმენტების შეფასება, არამედ ზეპირი მოსმენით იმ პრინციპული საკითხების გაანალიზება, რომლებზეც აგებული იყო თავად პროგრამა. მაგალითად, კვლევითი კომპონენტის არსებობა უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გადმოსახედიდან. ამ მიზნით, ექსპერტებმა შეიმუშავეს კონკრეტული კითხვარი, რომლის საფუძველზეც მოგვიანებით დასკვნა დაიწერა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას როგორც კვლევით, ისე სასწავლო კომპონენტებში, კრედიტები კარგად ჰქონდა გადანაწილებული. მან ხაზგასმით აღნიშნა აკადემიური წერის კურსის არსებობა დოქტორანტურის საფეხურზე, რადგან ხშირად მაგისტრატურაზე მისი გავლის შემთხვევაში, დოქტორანტურის საფეხურზე პროგრამა აღარ ითვალისწინებს აკადემიური წერის გავლას.

მან აღნიშნა, რომ ეს იყო ,,სამართლის" სადოქტორო პროგრამის მეორე აკრედიტაცია და ამის გათვალისწინებით შეფასდა პროგრამა როგორც წინა დასკვნის, ისე თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, მისი განმარტებით უნივერსიტეტმა გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებიც, გაიზარდა აკადემიური პერსონალის რიცხვი, დისერტაციის შეფასება უკვე ხდებოდა ბოლო ეტაპზე, ხოლო კოლოკვიუმისა და კვლევითი კომპონენტის შეფასებაც კი ხდებოდა დისერტაციის შემდეგ.

საბჭოს წევრებმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვეს დამატებით განემარტა ზემოაღნიშნული საკითხი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ცვლილებების განხორციელებამდე შუალედური შეფასებები იწერებოდა მაგალითად კოლოქვიუმზე, რომელიც დისერტაციის ნაწილი იყო, ამჟამად შეფასება ხდებოდა დისერტაციის შემდეგ, სემინარის შეფასება კი დისერტაციის გარეთ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას, ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტუდენტი შეძლებდა პროგრამაზე სწავლის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნის ფართოდ და კომპლექსურად გაზრდას და მის გამოყენებას არა მხოლოდ ადგილობრივი ჟურნალების, არამედ რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტების დონეზე. მან, ასევე, აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები მიიღწეოდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტებით, რაც მოიცავდა აკადემიურ წერას, სამართლებრივი კვლევის მეთოდებს, სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესორის ასისტენტობას და ორი თემატური სემინარის მომზადებას, რომელიც არ იქნებოდა დისერტაციის ნაწილი. მეორე, არჩევითი კომპონენტი მოიცავდა განათლების მენეჯმენტსა და მეცნიერების მენეჯმენტს, ხოლო მესამე გახლდათ კვლევითი კომპონენტი, რომელიც მოიაზრებდა კვლევითი ნაშრომის დაგეგმვასა და დიზაინს, სამ კვლევით ნაშრომს, კოლოკვიუმს, ნაშრომის დასრულებასა და დაცვას. მისი განმარტებით, ყოველივე აღნიშნული დისერტაციის ბოლო ფასდებოდა ერთი ქულით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების მიღწევადობას უზრუნველყოფდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იყენებდა პლაგიატის პროგრამას. ექსპერტების მიერ ასევე შეფასდა პროგრამის ფარგლებში დაცული ერთადერთი სადოქტორო ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა როგორი შთაბეჭდილება დატოვა ექსპერტებზე სადოქტორო ნაშრომმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომის ხარისხი შეფასების კომპონენტის ადეკვატური იყო. მისი მოსაზრებით, მხოლოდ ერთი სადოქტორო ნაშრომის არსებობას განაპირობებდა უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მკაცრი ფილტრი, თუმცა ეს არ გულისხმობდა რომ დოქტორანტის მომზადების დონე არ შეესაბამებოდა კონკრეტულ კრიტერიუმებს.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ექსპერტებს შედგენილი ჰქონდათ კითხვარი, რომლის საფუძველზეც იღებდნენ გადაწყვეტილებას რჩევის ან რეკომენდაციის გაცემასთან დაკავშირებით. მან რჩევის სახით აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა სადოქტორო პროგრამების დაცვის მეტი სიხშირით განხორციელდება, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან მიმართებით უნივერსიტეტში მოქმედებდა პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამოწმების მეთოდოლოგია, რაც რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: მომზადებას, პროგრამასთან დაკავშირებულ შიდა და გარე მონაცემების ანალიზს, პროგრამის განვითარების გეგმის შედგენას, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგიას.

ექსპერტის თქმით, ინტერვიუების შედეგად, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში თანაბრად და უფლებამოსილების შესაბამისად ჩართულნი იყვნენ ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დოქტორანტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. მისი მოსაზრებით, სადოქტორო პროგრამის არჩევითი და სავალდებულო კურსები ხელს უწყობდა სტუდენტების ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას, აღნიშნული უშუალოდ დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა.

ექსპერტებმა, ასევე, დადებითად შეაფასეს პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გადანაწილების სისტემა. მაგალითად, ,,განათლების მენეჯმენტში" დოქტორანტს თავიდანვე ექნებოდა კვლევის დაგეგმვისა და დროის სწორად გადანაწილების საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა თავჯდომარეს სთხოვა ყურადღება რეკომენდაციებსა და რჩევებზე გაემახვილებინა.

ექსპერტმა წარმოადგინა რამდენიმე რჩევა, კერძოდ,

1. სასურველია, უნივერსიტეტმა, ინტერნაციონალიზაციის პროცესში, გამოავლინოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების ნაკლებად ჩართულობის მიზეზი და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ მიმართულებით მათი მონაწილეობა, რათა უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული;

2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის;

3. სამართლის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და სხვ.);

4.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა უფრო ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე. წ კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ამ პროცესში, სასურველია, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სტუდენტებიც;

5. პროგრამის სასწავლო კურსები უფრო მეტად უზრუნველყოფდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესს;

6. პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით;

7.სტატიების საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების ვალდებულება დარჩეს უცვლელი ან ჩაანაცვლოს სხვა ინტერნაციონალიზაციის ელემენტმა;

8. დაცულ სადოქტორო ნაშრომების რაოდენობის, კურსდამთავრებულების ზრდასთან ერთად (ვინაიდან, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებულია) მეტი სიხშირით, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, გაგრძელდეს პროგრამის შედეგების შეფასება, პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა უნივერსიტეტის პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, მარინა გედევანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი საპატიო მიზეზით არ იმყოფებოდა სხდომაზე.

მან განაცხადა, რომ პროგრამა აკრედიტებული იყო 2014 წელს, განმეორებითი აკრედიტაციისთვის კი ჩაატარეს მოდიფიცირების პროცესი, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული, მათ შორის აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და მოქმედი დოქტორანტები.

მისი განმარტებით, მიმდინარე პერიოდისათვის პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო ორი პროფესორი, თერთმეტი ასოცირებული პროფესორი და ოცდაერთი თანახელმძღვანელი. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პერსონალს ჰქონდა სამეცნიერო -პედაგოგიური გამოცდილება, ხოლო მოწვეული პერსონალის დიდ ნაწილს, როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური, ასევე დიდი პრაქტიკული გამოცდილება, რაც თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შერწყმის მიზნით კარგ შედეგს გვთავაზობდა.

მან დაამატა, რომ დოქტორანტებს ნებისმიერი პროფესორის შერჩევის უფლება თავად ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა უნივერსიტეტში კონკრეტულ საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით აქტიური პროფესორი. ისინი, დოქტორანტის სურვილის გათვალისწინებით, სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან იწვევდნენ ხელმძღვანელებს, რაც მათი აზრით, პროგრამის დადებით მხარედ ითვლებოდა. მაგალითად, სისხლის სამართალში უნივერსიტეტს ჰყავდა ძლიერი აკადემიური პერსონალი, თუმცა როდესაც მოთხოვნა გაჩნდა, მოიწვიეს ნინო გვენეტაძე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ერთ-ერთი დოქტორანტის, კახა ყურაშვილის სადოქტორო ნაშრომი. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე მათ ჰყავდათ პროფესორი, ზემოაღნიშნული დოქტორანტის მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტმა მოიწვია სხვა პროფესორიც. მისი თქმით, ასეთი უფლებებით სარგებლობდნენ მობილობით გადმოსული სტუდენტებიც. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან მობილობით გადმოსულ სტუდენტს ქეთევან ცინცაძეს, რომელსაც თანა ხელმძღვანელიც გადმოჰყვა.

ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პროგრამას ჰქონდა საკუთარი ბიუჯეტი, თავისი ბიუჯეტი, ასევე, ჰქონდა სამართლის ფაკულტეტსაც. პროგრამის ბიუჯეტის არასაკმარისობის შემთხვევაში, გარკვეული ღონისძიებები ფინანსდებოდა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტი აფინანსებდა ყველა კვლევით პროექტს, უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მონაწილეობით. ამ მიზნით სპეციალურად შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტი. რაც შეეხება სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, უნივერსიტეტი იღებდა ვალდებულებას მათი დაფინანსების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ექსპერტების რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა რჩევებში აღნიშნულ ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მემორანდუმები გაფორმებული ჰქონდათ ბევრ

უნივერსიტეტთან, პროგრამაში ჩართვის თაობაზე მიმოწერას აწარმოებდნენ ყოფილ მოსამართლესთან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოში, რომელიც ამჟამად არის უკრაინის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. მისი თქმით, ასევე, უნივერსიტეტს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ალკალას უნივერსიტეტთან და განიხილება მნიშვნელოვანი შემოთავაზებები მათი მხრიდან, კერძოდ ვინც მათთან დაიცავს დისერტაციას და მიენიჭება კვალიფიკაცია, ერთი სემესტრის განმავლობაში შეუძლია ჩავიდეს ალკალას უნივერსიტეტში და იქ პროფესორის ხელმძღვანელობით, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ დაიცვას იგივე დისერტაცია.

ასევე, საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელის დასაბუთებული, მოტივირებული დასკვნის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზადყოფნას გამოთქვამს, 6 თვის განმავლობაში საკვლევი ნაწილის განხორციელების მიზნით, ნებისმიერ უნივერსიტეტში მიავლინოს დოქტორანტი სრული დაფინანსებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღწერა წინასწარი დაცვის პროცესი, დისერტაციის დასრულდება, ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე და ამის შემდეგ გადაეცემათ ექსპერტებს (ერთი ადგილობრივი, ერთი გარედან მოწვეული). წინასწარ დაცვაზე დოქტორანტს ეძლევა საშუალება გაითვალისწინოს რეკომენდაციები, შემდეგ კი ნაშრომი შესაფასებლად გადაეცემათ რეცენზენტებს (ერთი ადგილობრივი, ერთი გარედან). საბოლოოდ დისერტაციის დაცვისას, მოქმედებს 100 ქულიანი სისტემა, 40 ქულა რეცენზენტებზე, 60 ქულა კოლეგიის წევრებზე.

მან ხაზგასმით აღნიშნა უნივერსიტეტში დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის დამოუკიდებლად არჩევის პოლიტიკა, აღნიშნულში არ ერევა უნივერსიტეტი და კომიტეტი. დოქტორანტი, საკუთარი მოტივაციისა და საკვლევი თემის ინტერესებიდან გამომდინარე თავად გეგმავს რა მიმართულებით უნდა წავიდეს კონკრეტული დისერტაცია და რა უნდა იყოს მისი მიზანი. მისი განმარტებით, აკადემიური წერა დოქტორანტურის საფეხურზე დატოვეს, რადგან მას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღირებული სამეცნიერო კვლევა შექმნისას.

ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აფასებს თითოეული აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო აქტივობებსა და მათ მიერ გამოქვეყნებულ შრომებს. სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით კი მათ შეიმუშავეს რანგირების წესი, რაც გულისხმობს ყოველი სემესტრის ბოლოს მეტ სამეცნიერო აქტივობაზე ხელფასის ზრდას დანამატის სახით. მან ასევე აღნიშნა, რომ სანამ დოქტორანტისათვის ხელმძღვანელის დანიშვნამდე, დეტალურად განიხილება თუ რამდენად აკმაყოფილებს ხელმძღვანელი ყველა საჭირო მოთხოვნას, კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს დოქტორანტთან მუშაობის გამოცდილება, დაცული ჰქონდეს ხარისხი დაცული იმ დარგში, რომელ დარგშიც საკვლევი თემაა შერჩეული და ბოლო 5 წლის განმავლობაში აქტიური მეცნიერი უნდა იყოს.

მან ასევე დასძინა, რომ უნივერსიტეტში ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით სისტემატურად ტარდება მეცადინეობები.

საუბარი განაგრძო პროგრამის თანახელმძღვანელმა, სერგო ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მარინა გედევანიშვილი აქტიურად არის ჩართული ყველა პროგრამის განხორციელებაში.

მისი თქმით, პროგრამაზე დოქტორანტი ირიცხება უცხო ენაში გამოცდის ჩაბარებისა და ენაში ცოდნის დადასტურების შემდეგ.

სერგო ჭელიძის თქმით, რიგ შემთხვევებში ხორციელდებოდა დოქტორანტებისათვის თანა ხელმძღვანელის დანიშვნა, მაგალითად, თუ სტუდენტი იმუშავებდა სისხლის სამართალში რაიმე თემაზე და ერთი საკითხი შეეხებოდა კრიმინოლოგიის პრობლემებს, მას დაენიშნებოდა თანა ხელმძღვანელი სწორედ კრიმინოლოგიის სფეროდან.

საბჭოს წევრი, დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა თუ რამდენი ადამიანისაგან შედგება სადისერტაციო საბჭო, რომლის წინაშეც მიმდინარეობს კოლოკვიუმის დაცვა და როგორ ხდება შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში არის ფაკულტეტის ყველა პროფესორი, სულ 13 ადამიანი, 11 ასოცირებული და 2 პროფესორი. მისი განმარტებით, სადისერტაციო საბჭოზე ხდება კოლოკვიუმების, სემინარის წარდგენა, დიზაინის დაგეგმარება, პროექტის წარდგენა. რაც შეეხება დისერტაციის პრეზენტაციის წარდგენას, ერთჯერადად იქმნება 7 კაციანი კოლეგია, 2 მოწვეული და 5 ადგილობრივი წევრით.

დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა, თუ შეიძლებოდა დოქტორანტის ორი ხელმძღვანელისგან ერთ-ერთი ყოფილიყო რომელიმე კოლეგიის წევრი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ამგვარი რამ არ შეიძლებოდა. მათი მოთხოვნის მიხედვით, კოლეგიის წევრს საპროექტო დარგში დაცული უნდა ჰქონოდა დისერტაცია და შრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში.

დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა რა ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ დისერტაციის დასკვნები იქნებოდა უარყოფითი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს არ აქვს უფლება გადავიდეს შემდეგ კომპონენტზე, მას ეძლევა ვადა, რათა გადაამუშაოს გარკვეული საკითხები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით დისერტაციაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, კერძოდ რატომ ფიქსირდებოდა შეუსაბამობა დებულებასა და პროგრამაში მითითებულ დაშვების წინაპირობებს შორის, პროგრამაში აღნიშნული იყო რომ საჭირო იყო 3 სტატიის გამოქვეყნება და კონფერენციაში მონაწილეობა, ხოლო დებულების მიხედვით, დაშვების წინაპირობა იყო სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტი, სამი სტატია, კონფერენციაში მონაწილეობა და წინასწარი დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს განუმარტა, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის თითოეული აქტივობა ცალ-ცალკე სილაბუსებშია ჩაშლილი, შესაბამისად ყველაფერი ერთად პროგრამაში მითითებული არ არის, მისი თქმით ყველა დანარჩენი დეტალი აღნიშნულია დოქტორანტის დებულებაში, რომელიც საჯარო და გამჭვირვალეა. მთავარი მოთხოვნები კი გაწერილია პროგრამაშიც, ესენია: სამი სტატია და კონფერენციაში მონაწილეობა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დასვა შეკითხვა კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა კვლევა საერთო იყო თუ მხოლოდ სამართლის დოქტორანტებისთვის იყო განკუთვნილი, მისი თქმით, აღნიშნულის იდენტიფიცირება სილაბუსიდან და ლიტერატურიდან მან ვერ მოახდინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ აქვთ სამი სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირების- ბიზნეს სამეცნიერო კვლევის მეთოდებით, პოლიტიკის - პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდებით და მიმდინარე სხდომაზე განსახილველი პროგრამა - სამართლის კვლევის მეთოდებით. მისი თქმით, აღნიშნული სილაბუსი შემუშავდა მინდია უგრეხელიძის მიერ სამი საათი სილაბუსში დათმობილი იყო კვლევის მეთოდებისთვის. ასევე მისი განმარტებით, აკადემიურ წერაშიც გათვალისწინებული სამართლებრივი წერა და სხვა საკითხებიც აუცილებელი იყო სამართლის სადოქტორო სტუდენტებისთვის და მათ ვერ გამოიყენებდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტები. ამ პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურა და საკითხები განკუთვნილი იყო უშუალოდ იურისტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი ამილახვარი დაინტერესდა თუ რატომ დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი 30 აქტიური სტუდენტიდან მხოლოდ ორმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2014 წლის ივლისში, პირველი დოქტორანტები კი მიიღეს 2014–2015 სასწავლო წელს, ამ სამი წლის თავზე სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა დეკანმა, კახა ყურაშვილმა და მიმდინარე პერიოდში სადისერტაციოდ წარმოდგენილი იყო ორი დისერტაცია, რომელთაგან ერთ-ერთმაც უკვე გაიარა პლაგიატის პროცესი. მისი თქმით, ივლისის ბოლოს გაიმართებოდა წინასწარი დაცვა და სექტემბრისათვის მოხდებოდა ამ ორი დისერტაციის დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ გარდა მაისის თვისა, დოქტორანტებისათვის მოტივაციის ამაღლების მიზნით, მათ დააწესეს დისერტაციის დაცვის მეორე ვადა ნოემბერში, რაც დებულებითაა განსაზღვრული.

დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ კანონის მიხედვით, დოქტორანტს შეეძლო დისერტაცია დაეცვა დამამთავრებელ ან მომდევნო სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული ფაქტი. მისი თქმით, ვინც სწავლას დაასრულებდა თებერვლის სემესტრში, საშუალება ექნებოდა დისერტაცია დაეცვა მაისში, ხოლო ვინც სწავლას დაასრულებდა ივლისის შუა რიცხვებში, ის დისერტაციას დაიცავდა შემდეგი სასწავლო წლის ნოემბერში.

საბჭოს წევრებმა ნინო ლიპარტიამ და სალომე თოთიბაძემ სხდომა დატოვეს 19:07 საათზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურებს სჭირდებოდა დაახლოებით ერთი სემესტრი, მომდევნო სემესტრში კი ხდებოდა ნაშრომის დაცვა.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტი მოასწრებდა 3 წელიწადში ჩატევას, შეეძლებოდა იმავე სემესტრში დაეცვა დისერტაცია.

მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ თუ სამ წელიწადში პროცესის განხორციელებისათვის, დოქტორანტს დისერტაცია ნოემბრის ბოლოსთვის უნდა შემოეტანა, ხოლო თუ ის ნაშრომს ვერ დაიცავდა ნოემბრის ბოლოსთვის, სწავლის გადასახადს აღარ გადაიხდიდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა სადოქტორო პროგრამა უფასო ყოფილიყო. მისი აზრით, თუ უნივერსიტეტს აქვს პრეტენზია და ამბიცია რომ ჰქონდეს სადოქტორო პროგრამა, აუცილებელია გააჩნდეს შესაბამისი რესურსი და გამოხატოს მზადყოფნა რომ პროგრამა იყოს უფასო

დოქტორანტებისათვის. მან მოიყვანა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითი, სადაც სადოქტორო პროგრამა უფასოა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი კომპონენტი იწყება მეორე სემესტრიდან, დოქტორანტს ფაკულტეტზე ჩარიცხვისა და ხელმძღვანელის დანიშვნისთანავე ენიშნება ხელფასი 500 ლარის ოდენობით, რომელიც მას ეძლევა მუდმივად, აქტიური სტუდენტური სტატუსის შემთხვევაში.

დაწესებულების კანცლერმა დიდი მოწონება გამოხატა გიორგი ამილახვარის მოსაზრებაზე დოქტორანტებისათვის უფასო სადოქტორო პროგრამის შეთავაზებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, პროგრამა უნდა იყოს უფასო და იქ უნდა სწავლობდნენ რჩეულები, მათ უნდა უფინანსდებოდეთ როგორც სწავლა, ისე საზღვარგარეთ მივლინება იმ პირობით თუ დოქტორანტი მოღვაწეობას განაგრძობს მათ უნივერსიტეტში, მინიმუმ 5 წლით. მისი თქმით, საბჭოს წევრმა მათ დიდი სტიმული მისცა ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ უნივერსიტეტში 40-მდე კურსდამთავრებულია დასაქმებული, საუბრის ბოლოს მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს.

შესვენება გამოცხადდა 19:19 საათზე

სხდომა განახლდა: 19:23 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-$3^1$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის:

**საგანმანათლებლო პროგრამა** - სამართალი
**საფეხური** - დოქტორანტურა
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - სამართლის დოქტორი (06)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:24 საათზე.

**თავმჯდომარე**
ქეთევან ქოქრაშვილი

**მდივანი**
ნინო ლიპარტია

**მდივანი**
მაკა ლაშხია